ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბაცანკალაშვილი
(სახელი, გვარი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: პეტრე ბაბილუა
(სახელი, გვარი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" მისიაა, საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძირითადი მიზნების შესაბამისად განახორციელოს თავისი საქმიანობა. უზრუნველყოს უსაფრთხო და პოზიტიური გარემო. აღზარდოს ინფორმირებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ტექნოლოგიური მიღწევის ეფექტიანად გამოყენების უნარისა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე, მაღალი ზნეობის, პატრიოტული სულისკვეთების, მულტიკულტურული და ტოლერანტული, კანონმორჩილი პიროვნება, რომელსაც შეეძლება დამოუკიდებელი დასკვნებისა და ანალიზის გაკეთება, რომელიც გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ; თავად შექმნის ღირებულებებს და საკუთარ წვლილს შეიტანს საზოგადოების წინსვლაში, ხელს შეუწყობს არაქართულენოვან კონტინგენტს სახელმწიფო ენის გაძლიერებულ სწავლებაში, რაც დაეხმარება საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციას.

ასევე სკოლია მისიაა გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების შესაბამისად, ხელი შეუწყოს მოზარდის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას, მრავალენობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას. შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" ამოცანებს განეკუთვნება, მოამზადოს მოსწავლეები საერთაშორისო საგანმანათელბლო სივრცეში ინტეგრაციისათვის, ხელი შეუწყოს ეროვნებათა შორის მეგობრობის, სწორუფლებიანობის, თანაარსებობისა და ტოლერანტობის განმტკიცებას.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმს“, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით და სკოლის დირექტორს 2017 წლის 11ივნისის N 7/21 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:

1. სკოლის მისია;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები;
3. სასწავლო კალენდარი;
4. სასკოლო საათობრივი ბადე;
5. სასწავლო მასალის ჩამონათვალი საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და საგნების მიხედვით;
6. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
7. საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები;
8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
9. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
10. ინკლუზიური განათლება;
11. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.

სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია სკოლის მისიის შესრულებაზე. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს ინფორმირებული, კრიტიკულად მოაზროვნე, მულტიკულტურული ღირებულებებისა და მრავალენოვანი კომპეტენციების მქონე მოქალაქის აღზრდას. ამ მიზნის მისაღწევად, სკოლის საათობრივ ბადეში გაზრდილია ზოგიერთი სავალდებულო საგნის კვირეული საათების რაოდენობა. კერძოდ, I-VI კლასის ჩათვლით, სკოლა მოსწავლეებს გაზრდილი საათობრივი დატვირთვით სთავაზობს ქართულ ენასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ლიტერატურას, ინგლისურ ენას და მათემატიკას.

გარდა ამისა, დამატებითი სავალდებულო მომსახურების სახით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

1. რუსული ენა (მეორე უცხოური ენა) - ისწავლება III-IV კლასებში, კვირაში 1 საათი;
2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ) – ისწავლება II, III, IV კლასებში, კვირაში 1 საათი;
3. ცეკვა - ისწავლება I, II, III, V, VI კლასებში, კვირაში 1 საათი;
4. ჭადრაკი - ისწავლება I – VI კლასებში, კვირაში 1 საათი.

შპს „დავით აღმაშენებელის სახელობის სკოლა-ლიცეუმში", ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით სააღმზრდელო მომსახურების სახით, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, ისარგებლონ შემდეგი სერვისებით: მეტყველების კულტურა, ქართული ცეკვის წრე, ქართული ხალხური მუსიკისა და საკრავების წრე, საოლიმპიადო მათემატიკის წრე (მე-4, 5, 6 კლასის მოსწავლეთათვის).

სკოლა წარმატებით ასრულებს მისიის იმ ნაწილს, რომელიც არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის სწავლებასა და პოპულარიზაციას გულისხმობს. მოიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლის მოსწავლეთაგან არც ერთი არ არის ეროვნებით ქართველი, დაწესებულებაში ფუნქციონირებს მხოლოდ ქართული სექტორი და სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

დასტურდება:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით;
2. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით;
3. შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის" დირექტორის 2017 წლის 11 ივნისის N 7/21 ბრძანებით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებელის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“ ერთსაფეხურიანი სკოლაა და საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები). ამჟამად, სკოლაში ირიცხება 98 მოსწავლე. ექსპერტებმა შეისწავლეს ყველა კლასის მოსწავლეთა პირადი საქმეები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების პირადი საქმეები. აღნიშნული პირადი საქმეები სრულიად მოწესრიგებულია, წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესითა და მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესით განსაზღვრული ყველა სახის დოკუმენტაცია.

სკოლა მუშაობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნილებებზე ორიენტირებული საგაკვეთილო განრიგით. გაკვეთილებისა და შესვენებების ხანგრძლივობა, აგრეთვე ერთჯერადი კვება, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განათლება მიიღონ დაბალანსებული დღის რეჟიმისა და ფიზიკური განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებში.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის შესაბამისი საგანმანთლებლო საქმიანობის ხარისხიანად განხორციელების მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამი საგნობრივი კათედრა:

1. დაწყებითი კლასების კათედრა;
2. უცხოური ენების კათედრა;
3. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

კათედრების მუშაობის დამადასტურებელ საქაღალდეებში ინახება შემდგომი დოკუმენტაცია: კათედრის დებულება, კათედრის წევრების მონაცემები, კათედრის მუშაობის სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, საგნობრივი პროგრამები/თემატური გეგმები და შემაჯამებელი დავალებების ანალიზების ნიმუშები. კათედრის წევრების განცხადებით, შემაჯამებელი დავალებების ერთიანი ანალიზი განხორციელდება 2017-2018 სასწავლო წლის I სემესტრის დასასრულს.

შემაჯამებელი დავალებების ანალიზი მოიცავს როგორც მთლიანი კლასის შედეგების განხილვას, ასევე რიგ შემთხვევებში, ინდივიდუალურ, თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულ რეკომენდაციებსა და ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. რაც ეხება შემაჯამებელი დავალებების ფორმებსა და ტიპებს, მასწავლებლები უფრო მეტად იყენებენ ტესტებს, თუმცა გვხვდება ისეთი შემაჯამაბელი დავალებების ფორმები, როგორებიცაა მუსიკალური ვიქტორინა, პრეზენტაციები, ტექსტის შინაარსის გააზრება და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

საგნობრივი კათედრები აერთიანებს სკოლის ყველა პედაგოგს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რომლებიც მოიცავს შესაბამისი საგნის სასწავლო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებთან. პედაგოგების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებში გაწერილია საგნის/საფეხურის მიზნები, საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები მისაღწევი შედეგებით, შეფასების მეთოდები, გამოყენებული ლიტერატურისა და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი. მასწავლებლის პორტფოლიო აგრეთვე მოიცავს დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანების მისაღწევად, პედაგოგის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების დამადასტურებელ დოკუმენტაციას: მიზნებს, აღწერილობასა და ფოტო-მასალას.

დაწესებულებაში მოქმედ თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც აგრეთვე ამავე კლასის მასწავლებელია. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს კლასის დამრიგებლის მუშაობის მიზნებს, მოვალეობებს, სადამრიგებლო საათის განხორციელების რეკომენდაციებსა და ძირითად თემებს. სკოლის სადამრიგებლო დებულებაში გაწერილია დამრიგებლის უფლება-ვალდებულებები, სადამრიგებლო საათის პროგრამის პრინციპები, სადამრიგებლო საკლასო ოთახის მოწყობის პროცედურები და სხვა.

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ კლასის დამრიგებლები აქტიურად ახორციელებენ სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულ სააღმზრდელო მუშაობას. დამრიგებლებმა წარმოადგინეს სადამრიგებლო პორტფოლიოები, სადაც ინახება: სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის სამოქმედო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, მოსწავლეების, მშობლებისა და კლასის ყველა მასწავლებლის პირადი მონაცემები, 2017-2018 სასწავლო წლის კალენდარი, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელობის ნუსხა, გაკვეთილების ცხრილი, კლასგარეშე ღონისძიებების ჩამონათვალი, მშობელთა კრებების ოქმები (ხელმოწერილი დამსწრე მშობლების მიერ), ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები თითოეული საგნისათვის, თემატურ-კალენდარულ გეგმები, ოჯახებში ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საგანმანათლებლო-აღმზრდებლობითი სამუშაოს დამადასტურებელი სხვა თვალსაჩინო მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

1. 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
2. კათედრის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციით;
3. დამრიგებლების პორტფოლიოებით;
4. მასწავლებლების პროტფოლიოებით;
5. შემაჯამებელი დავალებების ანალიზით;
6. სასკოლო ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცით;
7. კათედრების წევრებთან გასაუბრებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

ამჟამად შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში" არ ირიცხება განსაკუთრებული საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადებს, განახორციელოს შესაბამისი საგანამნათლებლო მომსახურება ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში.

სკოლის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ინკლუზიური განთლების პრინციპები და სამუშაო მიმართულებები, კერძოდ: სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ისგ მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის წესები, შინ სწავლებისა და სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეფასების პრინციპები.

მასწავლებელთა და მშობელთა ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მოსწავლეებს განვითარებისა და განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

დასტურდება:

1. 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3. მშობლებთან გასაუბრებით;
4. მასწავლებელებთან გასაუბრებით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია სკოლის შეფასების სისტემა, რომელიც სრულიად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების სისტემა განსაზღვრავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების შეფასების პრინციპებსა და მოიცავს სხვადსხვა ტიპის დავალების შეფასების კრიტერიუმების ნიმუშებს.

I-IV კლასების ჩათვლით, პედაგოგები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას; ხოლო V-VI კლასებში, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოსწავლეები ფასდებიან სამივე კომპონენტის: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების მიხედვით.

შეფასების წესები გამჭვირვალეა და გამოკრულია თითოეულ საკლასო ოთახში. დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ცნობით, მშობლები სკოლის შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციას პირველივე მშობელთა კრებაზე იღებენ. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემითურთ, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

დასტურდება:

1. 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
2. მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
3. საკლასო ჟურნალებით;
4. სკოლის ვებ-გვერდით: www.marneulias.com
5. ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმები, პერიოდულობა და პროცედურები.

მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის რეგულარული შეტყობინების მიზნით, სკოლა მშობლებს სთავაზობს ელექტრონული ჟურნალის მომსახურების სერვისს. გარდა ამისა, მშობლებთან და დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მშობელს ნებისმიერ დროს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, აქვს შესაძლებლობა გაესაუბროს პედაგოგებს და მიიღოს ინფორმაცია და რჩევები მოსწავლის აკადემიური თუ პიროვნული განვითარების შესახებ.

დამრიგებლები სასწავლო წლის განმავლობაში ორ-სამჯერ ახორციელებენ ვიზიტს მოსწავლეთა ოჯახებში, მათი უკეთესად გაცნობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით. ეს ტრადიცია დადებითად არის შეფასებული როგორც მშობლების, ასევე სკოლის წარმომადგენლების მიერ.

დასტურდება:

1. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებით;
2. ელექტრონული ჟურნალით;
3. სკოლის ადმინისტრაციასთან და დამრიგებლებთან გასაუბრებით;
4. მშობლებთან გასაუბრებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში“ შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექნიზმები. დოკუმენტი, თავის მხრივ, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას.

კათედრის წევრების შეხვედრებზე განიხილება სკოლის საგანმანთლებლო საქმიანობის ზოგადი და კონკრეტული მიმართულებები, იგეგმება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სასწავლო გეგმაში დასახული პრიორიტეტებისა და მიზნების უკეთ მიღწევის გზები და სწავლების ხარისხის ამაღლების სტრატეგიები.

კათედრების წევრებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ 2017-2018 წლის I სემესტრი დაეთმო სქემით გათვალისწინებული შიდა საგაკვეთილო დაკვირვებების განხორციელებას. II სემესტრიდან კათედრები გეგმავენ ურთიერთდასწრებისა და გაკვეთილების მონიტორინგის აქტიურ ჩატარებას.

სკოლამ წარმოადგინა დადებითი და გასაუმჯობესებლი საკითხების ანალიზი, ე.წ. SWOT ანალიზი, რომელშიც სხვა პრიორიტეტებთან ერთად, დასახულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, განათლების სრულყოფა ინკლუზიური სწავლების კუთხით და ამ მიზნების მისაღწევად, პედაგოგთა გუნდის პროფესიულად გაძლიერება.

დასტურდება:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექნიზმებით;
2. კათედრების მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
3. სტრატეგიული დაგეგმვის SWOT ანალიზით;
4. კათედრის წევრებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“ მდებარეობს ქ. მარნეულში, აღმაშენებლის 89-ში. დაწესებულება განთავსებულია ორსართულიან შენობაში. აღნიშნული შენობა არის შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ საკუთრება, რომელიც არის შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ დამფუძნებელი. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი N 83.02.15.205) იკითხება, რომ აღნიშნულ მისამართზე ჩამოთვლილია N 1 შენობა-ნაგებობა განაშენიანების ფართით 406 კვ.მ. ვიზუალური დათვალიერება-გადათვლით, ასევე წარმოდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობის ფართი შემდეგნაირად ნაწილდება: I სართული-308.04 კვ.მ, II სართული-309.87 კვ. მ, სხვენი-127.14 კვ. მ. აღნიშნული გეგმის მიხედვით ფართების ჯამი 745.05 კვ. მ არ ემთხვევა საჯარო რეესტრის ამონაწერს. რაც შეეხება საიჯარო ხელშეკრულებას, ის დადებულია 2018 წლის 31 იანვრამდე. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს 2024 წლის 1 მარტამდე (დამოწმებული ნოტარიულად). დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად დავადგინეთ მიზეზი თუ რატომ არ იყო გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება. პასუხად მივიღეთ, რომ ვინაიდან აღნიშნული დაწესებულების მესაკუთრის ქონებას ადევს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა (შემოსავლების სამსახური 06.12.2016, შეტყობინება N 00732406) გამყარებული სასამართლოს გადაწყვეტილებით (განჩინება, N 1793432, 07.02.2017, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია), ამ მიზეზების გამო საიჯარო ხელშეკრულების დარეგისტრირება ვერ მოხერხდა და ამიტომ გაფორმდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება. იმის დასტურად, რომ რეალური ფართობი ნამდვილად იყო მეტი ვიდრე რეესტრში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დარეგისტრირებული ფართი, დაწესებულებამ წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის მიერ დაკვეთილი აუდიტის დასკვნა, სადაც რამდენიმე ადგილას არის ჩანაწერი ფართის შესახებ და მითითებულია 745.22 კვ. მ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის ამონაწერი, სადაც შენობის საერთო ფართად აღნიშნულია 745 კვ. მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. მარნეული, აღმაშენებლის 89	მიწის ნაკვეთი 3117 კვ. მ / შენობა N1 (სასწავლო კორპუსი) საერთო განაშენიანების ფართით 406 კვ.მ.

დასტურდება:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 83.02.15.205) - დანართი N 1;
2. საიჯარო ხელშეკრულება (1 თებერვალი 2017 წ) - დანართი N 2;
3. საკუთრების მინდობის ხელშეკრულება (20 დეკემბერი 2017 წ) - დანართი N 3;
4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო რეესტრიდან (B17128185) - დანართი N 4;
5. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი - დანართი N 5;
6. შემოსავლების სამსახურის მიერ დაკვეთილი აუდიტის დასკვნის ამონარიდი (გვ. 4, 17, 20) - დანართი N 6;
7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის ამონაწერი - დანართი N 7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

სკოლაში არის 13 საკლასო ოთახი, მათ შორის ერთი მუსიკის კაბინეტი და ერთი კომპიუტერული კლასი. ამჟამად სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 8 საკლასო ოთახში. შენობაში საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით. სულ დაწესებულებაში არის ერთადგილიანი 160 სასკოლო მერხი და სკამი, 7 პრინტერი, 12 პროექტორი, 1 ცალი ჭადრაკის დაფა, 1 ელექტრონული პიანინო.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებთ;
2. დაწესებულების ბალანსით;
3. სასაქონლო ზედნადებებით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას აქვს სპორტული მოედანი და ფლობს სპორტულ ინვენტარს. ასევე სკოლის სხვენში განთავსებულია დარბაზი, რომელიც გამოიყენება უამინდობის შემთხვევაში სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. შენობის შიდა აზომვითი ნახაზით;
3. დაწესებულების ბალანსით;
4. სასაქონლო ზედნადებებით;
5. ჩუქების ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლაში არის სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც დაკომპლექტებულია 15 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და ერთი ჭკვიანი დაფით.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. სასაქონლო ზედნადებებით;
3. დაწესებულების ბალანსით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო; სკოლა დარეგისტრირებულია გაზის, წყლის და ელექტროენერგიის მოხმარების დამოუკიდებელ აბონენტად. შენობას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, მოქმედი სველი წერტილები, ცალკე ბიჭებისათვის და ცალკე გოგონებისათვის. ყველა კლასში დამონტაჟებულია რადიატორი, სკოლას აქვს ბუნებრივი განათება. ასევე, სკოლას აქვს საკუთარი გენერატორი. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება:

4. გადახდის ქვითრებით;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

დაწესებულებაში არის 1 ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი. დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება) დამტკიცებული დირექტორის მიერ. ბიბლიოთეკაში გამოკრულია წიგნთან მოპყრობის 10 წესი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 1200 წიგნი. ყველა წიგნი დამუშავებულია წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკარი არის სკოლის ისტორია-ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, რომელსაც აქვს 18 საათი დატვირთვა. ჩვენს შეკითხვაზე თუ ვინ ასრულებს მის ფუნქციებს გაკვეთილების დროს, მან გვიპასუხა, რომ მისი არყოფნის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარის მოვალეობას ითავსებს საქმეთამმართველი.

დასტურდება:

6. ბიბლიოთეკის გამოყენების წესით (დებულება);
7. წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
8. ბიბლიოთეკარის პირადი საქმით;
9. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე

მოსწავლეთათვის

შეფასება:

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში არც ერთი სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა. თუმცა შექმნილია ადაპტირებული გარემო, კერძოდ შესასვლელში არის სპეციალური ბილიკი, კიბეებზე დამონტაჟებულია სპეციალური ასაკეცი პანდუსები. არის ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის სარგებლობაშია 17 პერსონალური კომპიუტერი, 5 ნოუთბუქი, 12 პროექტორი, 7 ცალი პრინტერი/ქსეროქსი. აქედან 2 კომპიუტერი, 5 ნოუთბუქი და 2 პრინტერი/ქსეროქსი არის ადმინისტრაციის სარგებლობაში. სკოლას აქვს საკუთარი ვებ-გვერდი http://www.marneulias.com/ რომელზეც განთავსებულია დოკუმენტაცია, ასევე სხვადასხვა სახის ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, ინფორმაცია ახლდება პერიოდულად. სკოლას აქვს საკუთარი ელექტრონული ჟურნალი.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. სასაქონლო ზედნადებებით;
3. ჩუქების ხელშეკრულებით;
4. ვებ-გვერდით: http://www.marneulias.com/ ;
5. ინტერნეტით უზრუნველყოფის ხელშეკრულებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

ა) სკოლას აქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოცემულია დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებაში N 7/25, 13 ივლისი 2017. ბრძანებაში დეტალურადაა გაწერილი ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვა და ასევე განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შექმნა. შენობას გააჩნია სათადარიგო გასასვლელი, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელსაც ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ამოწმებს სკოლის ტექნიკურ და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას, დერეფანში განთავსებულია ცეცხლმაქრი, სულ 5 ერთეული. ასევე, ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).

ბ) სკოლის შენობის თითოეულ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა.

გ) სკოლას სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით მოწყობილი აქვს სამედიცინო ოთახი, სადაც დაცულია პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარი და მედიკამენტები. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნილია დოკუმენტი: „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა“. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო განათლება. ექთანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

დ) სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და დაცვის 2 თანამშრომელი. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები მოცემულია დირექტორის მიერ დამტკიცებულ დებულებაში.

ე) სკოლის უსაფრთხოების მიზნით შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სულ 17 კამერა, კამერების პარამეტრები აკმაყოფილებს შსს მინისტრის ბრძანებით №1143 (2007 წლის 29 აგვისტო) მოთხოვნილ პარამეტრებს. კამერების საშუალებით სრულფასოვნად კონტროლდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის უკანა ეზო, სპორტული მოედანი, დერეფნები, სასადილო, კიბეები და კიბის უჯრედები, სხვენი და სხვენში განთავსებული დარბაზი.

დასტურდება:

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. სასაქონლო ზედნადებებით;
3. ექთნის და დაცვის თანამშრომლების პირადი საქმეებით;
4. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით (დებულებით);
5. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურებით;
6. დირექტორის ბრძანებით (N 7/25, 13 ივლისი 2017).

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი წესდების, შინაგანაწესის, დებულებისა და სხვა აქტების საფუძველზე. შინაგანაწესში მოცემულია სკოლის მიზნები, ამოცანები, მართვის პრინციპები და სტრუქტურა, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა ჩაცმულობის წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მასწავლებელთა ვალდებულებები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, ასევე, შინაგანაწესით რეგულირდება სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები და სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს შორის ურთიერთობათა პირობები; სკოლის დებულებით რეგულირდება სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

1. სკოლის წესდებით;
2. სკოლის შინაგანაწესით;
3. სკოლის დებულებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2017-2023) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2017/2018). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას. ექვსწლიან გეგმაში აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები: პრეამბულა, სკოლის მისია, სკოლის მიზნები და ამოცანები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ეს უკანასკნელი მოიცავს: სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საგნობრივი კათედრების კუთხით. ხოლო ერთწლიან გეგმაში ასახულია ექვსწლიანი გეგმის თითქმის ყველა მიმართულება და მათი შესრულება ხელს უწყობს ექვსწლიანი გეგმის განხორციელებას. დაწესებულებამ შეიმუშავა SWOT ანალიზი და მისი შედეგების გათვალისწინებით შექავს ცვლილებები ექვსწლიან გეგმაში.

დასტურდება:

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმით 2017/2018;
2. ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმით 2017-2023;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3. SWOT ანალიზით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. სკოლაში არის სულ 12 ჟურნალი. ესენია: საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი-1; საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი-2; მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი-3; შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი-4; შემოსული განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალი-5; შიდა დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი-6; გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი-7; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი-8; მოსწავლის სტატუსის მოსაპოვებლად დადებული ხელშეკრულების სარეგისტრაციო ჟურნალი-9; ფინანსური ხასიათის ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი-10; ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი-11; დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი-12. ყველა ჟურნალის წარმოება მიმდინარეობს სათანადო წესების დაცვით.

დასტურდება:

1. საქმისწარმოების ჟურნალებით;
2. საქმისწარმოების წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში“ დასაქმებულია 25 თანამშრომელი. მათგან 17 მასწავლებელია, ხოლო 8 ადმინისტრაციის წევრი და დამხმარე პერსონალი. სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმეთამმართველი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ექთანი, დაცვის ორი თანამშრომელი და დამლაგებელი.

16 მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. აქედან 2 უფროსი მასწავლებლია, ხოლო 14 - პრაქტიკოსი. ერთი პედაგოგი, გიორგი ხოსროშვილი (სპორტის მასწავლებელი), არ არის ჩართული სქემაში. იგი ამჟამად გადის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიან პროგრამას და გეგმავს საგნის გამოცდის ჩაბარებას. ამავდროულად, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი სპორტის მასწავლებლის თანამდებობაზე, სქემაში ჩართული პედაგოგის დასასაქმების მიზნით, თუმცა ამ დრომდე მასწავლებლის შერჩევა ვერ მოხერხდა, განცხადებაზე გამოხმაურების ნაკლებობის გამო.

დასტურდება:

1. სკოლის შინაგანაწესით;
2. სკოლის დებულებით;
3. სკოლის საინფორმაციო ბაზით: www.eschool.emis.ge;
4. მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ: სკოლის პედაგოგიური კოლექტივი შეირჩულია გასაუბრების გზით. თითოეული მასწავლებლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. შინაგანაწესის მიხედვით, ახალი მასწავლებლების მიღება მოხდება კონკურსის გზით, შინაგაწესში მოცემული წესის შესაბამისად. მასწავლებელთა პირად საქმეებში არის ყველა დოკუმენტი, რაც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

დასტურდება:

1. სკოლის შინაგანაწესით;
2. სკოლის დებულებით;
3. სკოლის საინფორმაციო ბაზით: www.eschool.emis.ge;
4. მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის დებულებასა და შინაგანაწესში მოცემულია სკოლის სტრუქტურა და მართვა. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია ადმინისტრაციის, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის, მასწავლებლების უფლება-მოვალეობები, სამუშაოს აღწერილობა, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, შეჩერება, წახალისება და დისციპლინური წარმოების წესი.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1. სკოლის შინაგანაწესით;
2. სკოლის დებულებით.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. ხელშკრულებებში გაწერილი უფლება-მოვალეობები თანხვედრაშია სკოლის დებულებაში გაწერილ თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და შინაგანაწესში განსაზღვრულ რეგულაციებთან.

დასტურდება:

1. სკოლის შინაგანაწესით;
2. სკოლის დებულებით;
3. თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
4. ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი" ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი; სკოლის თითოეულ მასწავლებელს შევსებული აქვს თვითშეფასების კითხვარი და შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა. 2017-2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

წლის პირველ სემესტრში შეფასების ჯგუფმა წარმატებით განახორციელა 4 შიდა საგაკვეთილო დაკვირვება. კათედრისა და ადმინისტრაციის წევრების განცხადებით, მეორე სემესტრიდან აქტიურად იგეგმება სქემაში გათვალისწინებული სხვა აქტივობების განხორციელება.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, სადაც დეტალურად არის გაწერილი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის გზები.

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში წახალისებულია მასწავლებელთა სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგებსა და ღონისძიებებში ჩართვა. მაგალითად, სკოლის ხელშეწყობით, ინგლისური ენის ერთ-ერთი პედაგოგი, 2018 წლის იანვრის თვეში, დიდ ბრიტანეთში გაივლის კვალიფიკაციის ამაღლების ერთკვირიან კურსს.

დასტურდება:

1. 2015-2016 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს ოქმებით;
2. შეფასების ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაციით;
3. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებით;
4. მასწავლებლებთან გასაუბრებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ მიერ შემუშავებული შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებლი დოკუმეტები უზრუნველყოფენ დაცული, ანტიდისკრიმინაციული და კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნას სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის (მოსწავლე, თანამშრომელი, მშობელი). მოსწავლეებს აქვთ ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების რეალური შესაძლებლობა, რასაც ხელს უწყობს სკოლის პერსონალისა და მასწავლებლების ურთიერთპატივსცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“ ღია დაწესებულებაა, სადაც მშობლებს არ ექმნებათ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან ურთიერთობების ბარიერი და გრძნობენ სკოლის თანადგომას მათი შვილების წინსვლისა და განათლების საქმეში. გასაუბრებაზე დამსწრე ყველა მშობელმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ სურვილი, სკოლამ სწავლება განახორციელოს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.

დასტურდება:

1. სკოლის შინაგანაწესით;
2. მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

სულ დანართი 27 /ოცდაშვიდი/ ფურცლად

1. დანართი N 1, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 83.02.15.205) – 2 /ორი/ ფურცლად
2. დანართი N 2, საიჯარო ხელშეკრულება (1 თებერვალი 2017 წ) – 6 /ექვსი/ ფურცლად
3. დანართი N 3, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება (20 დეკემბერი 2017 წ) – 4 /ოთხი/ ფურცლად
4. დანართი N 4, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო რეესტრიდან (B17128185) – 3 /სამი/ ფურცლად
5. დანართი N 5, შენობის შიდა აზომვითი ნახაზი - 4 /ოთხი/ ფურცლად
6. დანართი N 6, შემოსავლების სამსახურის მიერ დაკვეთილი აუდიტის დასკვნის ამონარიდი (გვ. 4, 17, 20) – 5 /ხუთი/ ფურცლად
7. დანართი N 7, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის ამონაწერი - 3 /სამი/ ფურცლად

ქ. თბილისი 05.01.2018
(შევსების ადგილი) თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.